ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ
საკითხთა, განათლების, კულტურისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის
ოქმი № 8

ქ. ლანჩხუთი

20.11.2023 წელი

16.00 საათი

სხდომას უძღვებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი;**

სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრები: ნინო მშვიდობაძე, ელისო ჭიჭინაძე, დარეჯან ბურჭულაძე, ლოლიტა ურუშაძე, მაკა მშვიდობაძე, კარლო წილოსანი, რევაზ კვერენჩხილაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ეკა გუჯაბიძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ჭანტურიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ"ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

4. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა. კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 8; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" საკითხი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, **ეკა გუჯაბიძემ**, რომელმაც აღნიშნა, რომ სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საკრებულოს, 2023 წლის 24 აგვისტოს №16 დადგენილებით დაზუსტდეს წარმატებული პედაგოგის განმარტება და ფულადი ჯილდოს მიღების მიზნით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების მედალოსნების, ერთიან ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებზე ასპროცენტიანი გრანტის მფლობელი წარმატებული ახალგაზრდების მიერ განაცხადის შემოტანის პერიოდი. ასევე განისაზღვროს, ფულადი ჯილდოს ოდენობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო, კერძო და სახელოვნებო სკოლებში გამოვლენილი წლის საუკეთესო მასწავლებლისათვის. **ეკა გუჯაბიძემ** აგრეთვე განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო, კერძო და სახელოვნებო სკოლის მოქმედი ან ყოფილი - საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის, ეროვნული ჯილდოს მფლობელი და მენტორი მასწავლებლის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვრა - 500 (ხუთასი) ლარით და სკოლის მიერ გამოვლენილი, წლის საუკეთესო მასწავლებლის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვრა - 300 (სამასი) ლარის ოდენობით."

ეკა გუჯაბიძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს დაიწყო აღნიშნული პროექტი და სამომავლოდ კიდევ უფრო დაიხვეწება. პროექტის ფარგლებში სკოლას უნდა შეერჩია ერთი ღირსეული წლის მასწავლებელი, რომელიც მუნიციპალიტეტის მიერ დაჯილდოვდებოდა თანხით. თითო სკოლიდან უნდა შერჩეულიყო თითო პედაგოგი როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლიდან. მან აღნიშნა, რომ მერია ყოველთვის ცდილობს ახალგაზრდული პროექტებით ინფრასტრუქტურა მოაწყონ სკოლებში და ასევე გადაწყვიტეს, მეტად აქცენტრირებული ყოფილიყო მათი დამოკიდებულება პედაგოგების მიმართ.

მაკა მშვიდობაძემ აღნიშნა, რომ მისი აზრით, უმჯობესი იქნებოდა მოსწავლეების მიერ მომხდარიყო წლის საუკეთესო პედაგოგის გამოვლენა, რასაც **კარლო კვიტაიშვილიც** დაეთანხმა და აღნიშნა, რომ მოსწავლეზე კარგი შემფასებელი პედაგოგს არ ჰყავს.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 8; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **კარლო კვიტაიშვილმა.** მან აღნიშნა, რომ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გამოწვევების დასაძლევად ევროკავშირმა შეიმუშავა ინიციატივა - მერების შეთანხმება. ინიციატივა წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნის ადგილობრივი თვითმმართველობების ნებაყოფლობით გაერთიანებას და ორიენტირებულია კლიმატის ცვლილების შერბილებაზე, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირებასა და მდგრადი, საიმედო და ხელმისაწვდომი ენერგიის წვდომაზე. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი აღნიშნულ ინიციატივას 2017 წელს შეუერთდა, შეიმუშავა მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა, რითაც განსაზღვრა კლიმატის ცვლილების დასაძლევად 2030 წლამდე განსახორციელებელი ადგილობრივი აქტივობები. სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ 2030 წლამდე პერიოდში, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, დაგეგმილი ყველა აქტივობა. გეგმის მიზანია სათბურის აირების ემისიებისა და ენერგიის მოხმარების შემცირება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. სამოქმედო გეგმა, პირველ რიგში, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების ენერგოეფექტურობის გაზრდას. ამასთან, ითვალისწინებს ღონისძიებებს არამუნიციპალური სექტორებისთვისაც. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ პროექტში სულ 27 მუნიციპალიტეტია გაფორმებული, მათ შორის გურიის სამივე რაიონი.

როლანდ ლაშხიამ განაცხადა, რომ არც ერთი შენობის ჩაბარება არ მოხდება პროექტის ფარგლებში, თუ ყველა მოთხოვნილი კომპონენტი არ იქნება შესრულებული.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 7; კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - ელისო ჭიჭინაძე; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ საკითხი სხდომას გააცნო საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** და განმარტა, რომ 2024 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 18492,0 ათას ლარს შეადგენს. 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2024 წლის შემოსავლების პროგნოზი **იზრდება 990,9 თასი ლარით (5,7 %-ით).**

2024 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 12824,7 ათასი ლარით;

2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 11,1 %-ით (1285,7 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით.

ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1500,0 ათას ლარს;

2023 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით ქონების გადასახადი 300 ათასი ლარით არის გაზრდილი, რაც გამოწვეულია საწარმოთა ქონების გადასახადის გაზრდით.

გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 400,0 ათასი ლარით, მათ შორის:

სხვა დონის სახელმწიფო ორგანიზაციებიდან გამოყოფილი ტრანსფერი (მიზნობრივი) 400.0 ათასი ლარი, რომელიც მიიმართება დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების დაფინასებაზე;

2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გრანტები 20 ათ ლარით გაიზარდა (5,2%-ით).

2024 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 115,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

რენტა 115,0 ათასი ლარი;

2023 წლის გეგმიური მაჩვენებელი შედარებით შემცირებულია.

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 52,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

სანებართვო მოსაკრებლები 10,0 ათასი ლარი;

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 12,0 ათასი ლარი;

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 30,0 ათასი ლარი;

აღნიშნული შემოსავლები 2023 წლის საპროგნოზო მაჩვენებლებთან არის შესაბამისობაში.

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 3500.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 50,8 % -ით. (2024 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი გათვლილია 2023 წლის მოსალოდნელი შესრულების გათვალიწინებით)

არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 79,0 ათასი ლარს;

ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 58,1 ათ.ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა საკუთარი შემოსავლებით შეადგენს 22171,7 ათას ლარს (2023 წლის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 2594,6 ათასი ლარით).

აღნიშნული ზრდა გამოწვეულია მომსახურების ხარჯების ზრდით.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება - 2828,8 ათასი ლარი; მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 473,6 ათასი ლარი;

წყლის სისტემების განვითარება -167,3 ათასი ლარი;

გარე განათება - 850,4 ათასი ლარი;

კეთილმოწყობის ღონისძიებები-162,0 ათასი ლარი;

მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება - 125,5 ათ ლარი

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრილია 550,0 ათასი ლარი:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა - 100,0 ათ. ლარი

დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 2606,0 ათასი ლარი, მათ შორის:

დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 2298,9 ათასი ლარი

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 277,1 ათასი ლარი

მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქ ლანჩხუთში მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა.

უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები - 30,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მაწანწალა ცხოველების დაცვითი ღონისძიებები.

განათლება - 4462,8 ათასი ლარი, მათ შორის:

სკოლამდელი განათლება - 4416,3 ათასი ლარი;

განათლების ხელშეწყობა - 46,5 ათასი ლარი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 4551,9 ათასი ლარი მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 2258,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების

უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებსაც.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა -2263,9 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურის ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა.

ახალგაზრდობის მხარდაჭერა -30,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ახალგაზრდების ინიციატივებით წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1350,6 ათასი ლარი, მათ შორის:

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 215,3 ათასი ლარი;

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:· არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; · დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; · მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

სოციალური პროგრამები - 1135,3 ათასი ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების:

/ათასი ლარი/	
ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების ხარჯი	32,0
მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა	40.0
სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	150.0
ცენტრ ,, იავნანას" თანადაფინანსების პროგრამა	15.8
მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა	20.0
მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფა	140.0
იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა	15.3
ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	57.0

მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა	80.0
,,გამარჯვებულ ქალთა კლუბის" სარეაბილიტაციო პროგრამა"	20,1
100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა	4,5
მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა	250,0
უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	2.5
ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა	30.0
შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	20.0
ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსაგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა	100.0
გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა	3.0
სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა	7.0
მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა	3.0
0-დან 18 წლამდე დედ-მამით ობოლ ბავშვების და შშმ ბავშვების , რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა	2.0
ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა	10,8
აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	93,0
რისკის ქვეს მყოფი 0-18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა	40.0

მმართველობა - 6370,9 ათასი ლარი, მათ შორის:

საკრებულოს დაფინანსება - 1392,5 ათასი ლარი;

მერია - 4271,4 ათასი ლარი;

სარეზერვო ფონდი - 70,0 ათასი ლარი;

სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახური-184,7 ათასი ლარი;

სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის დასაფარავი თანხა და ვალის მომსახურება 90,0 ათასი ლარი, მათ შორის - ძირი 58,1 ათასი ლარი და პროცენტი -31,9 ათასი ლარი.

წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 20,0 ათ ლარი.

ელისო ჭიჭინაძე დაინტერესდა, სუფსის ტერმინალიდან ბიუჯეტში შემოდის თუ არა თანხა და მუნიციპალიტეტის მხრიდან შეიძლება თუ არა მცირე პროცენტის მოთხოვნა, რაზეც **როლანდ ლაშხიამ** გააკეთა განმარტება, რომ ტერმინალიდან ბიუჯეტში თანხა არ შემოდის და რომ პროექტი რატიფიცირებულია პარლამენტის მიერ, რაც იმას ნიშნავს, რომ ცვლილების შეტანა აღარ მოხდება.

ელისო ჭიჭინაძე ასევე დაინტერესდა არის თუ არა ბიუჯეტში განსაზღვრული მომავალი წლიდან ხელფასის მატება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში და ასევე სადეპუტატო

უფლებამოსილების თანხის გაზრდა. **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ დაგეგმილია 10%-იანი ხელფასის მატება ბაღებში და სადეპუტატო უფლებამოსილების თანხის გაზრდასთან დაკავშირებით მიდის კონსულტაციები.

დარეჯან ბურჭულაძემ დააყენა საკითხი, რომ ა(ა)იპ-ებში მოხდეს 20%-იანი ხელფასის ზრდა, რადგან მათი ანაზღაურება არის ძალიან დაბალი. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ სტრუქტურა არის დასახვეწი და პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონი, რათა ანაზღაურების განსაზღვრა მოხდეს საათობრივად.

დარეჯან ბურჭულაძემ აგრეთვე დააყენა საკითხი, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტირების ფარგლებში, აკეთის თემის კულტურის სახლში ერთი ოთახი მოეწყოს ახალგაზრდებისათვის.

სხვადასხვა.

კარლო წილოსანი დაინტერესდა, არის თუ არა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ადგილი, სადაც შეიძლება სამშენებლო ნარჩენების გატანა, რაზეც **კარლო კვიტაიშვილმა** უპასუხა, რომ ასეთი კონკრეტული ადგილი მუნიციპალიტეტში სამწუხაროდ არ გვაქვს, თუმცა არის ორი რთული ტერიტორია სადაც ხდება ნარჩენების შეტანა. ერთი არის აგარაკის ბინების მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე „კლიტეკარას" ნაპირას, მეორე კი ბესიკის ქუჩის ბოლოში. მან აღნიშნა, რომ დაახლოებით ორი წლის უკან მოასწორებია ტერიტორია ტრაქტორით, მაგრამ ისევ ისეთი მდგომარეობაა ამჟამად.

ელისო ჭიჭინაძემ სხდომას გააცნო მოქალაქე ქეთევან ხომერიკის წერილი, რომელიც ითხოვს აქონდროპლაზიის დიაგნოზის მქონე ბავშვისთვის, დაავადების მკურნალობასთან და მასთან დაკავშირებულ ყოველდღიურ ხარჯებთან დაკავშირებით დახმარებას. ბავშვს დიაგნოზიდან გამომდინარე ყოველწლიურად ესაჭიროება მთის კურორტით სარგებლობა და 24 საათის განმავლობაში საჭიროებს პამპერსით სარგებლობას. მშობელი ითხოვს დაფინანსებული იქნას აღნიშნული გარემოებით გათვალისწინებული ხარჯები ან შეძენილი იქნას პამპერსი. სახელმწიფოს მიერ უკვე დაფინანსებულია ამერიკული მედიკამენტი. აღნიშნული პროცედურა საჭიროებს მკურნალობის კურსის გავლას თბილისის კლინიკაში, რაც საჭიროს ხდის მშობლების ხანგრძლივ ყოფნას დედაქალაქში. მშობელი აგრეთვე ითხოვს თბილისში ცხოვრების ხარჯის 50% დაფარვას.

რევაზ კვერენჩხილაძემ აღნიშნა რომ სულ 2 პაციენტია ამ დიაგნოზით ჩვენს მუნიციპალიტეტში და კარგი იქნება თუ მოხდება დახმარება.

ნინო მშვიდობაძემ აღნიშნა რომ მთის კურორტით სარგებლობით შემთხვევაში ყველაზე კარგი გამოსავალია ვაუჩერიზაცია.

ელისო ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ აუტისტური სპექტრის მქონე ადამიანებისთვის მუნიციპალიტეტში არის ძალიან კარგი პროგრამა, მაგრამ ყველა ბენეფიციარი ვერ სარგებლობს აღნიშნული სერვისით, რადგან მხოლოდ 84.9 კოდის მქონე პაციენტებზეა გათვლილი პროგრამა. ის მოითხოვს , რომ გადაიხედოს ეს პროგრამა და 84.0-დან 84.9-მდე ყველა პაციენტმა ისარგებლოს აღნიშნული სერვისით, ან გაუქმდეს ე.წ. ადოსის ტესტი და ISD კოდებით მოხდეს ხელმძღვანელობა, რასაც კომისიის ყველა წევრმა დაუჭირა მხარი.

კარლო კვიტაიშვილმა დააყენა საკითხი, 18 წლამდე დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება გაიზარდოს 500 ლარამდე. მუნიციპალიტეტში ასეთი სულ არის 6 ბავშვი და ამჟამად ისინი იღებენ

300 ლარიან დახმარებას, მან აგრეთვე დააყენა საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ დაფინანსდეს ბიოფსიის კვლევა 50 % მაინც.

დარეჯან ბურჭულაძე დაინტერესდა, დაიწყო თუ არა სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ ადამიანებზე დახმარების გაცემა. მან უკმაყოფილება გამოხატა გასაცემი თანხის სიმცირესთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ იმ თანხით, რასაც დაზარალებულები მიიღებენ, სახლის შეძენა შეუძლებელია. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ არიან ადამიანები, ვინც დაკარგა შემოსავლის წყარო და ამ ადამიანების დახმარებაზეც უნდა იყოს საუბარი.

დარეჯან ბურჭულაძემ ასევე აღნიშნა, რომ დაიწყო დაზარალებული ოჯახების რეგისტრაცია, სანამ არ დარეგისტრირდებიან, მანამ ვერ მიიღებენ დახმარებას, თან რეგისტრაცია უჯდებათ ძვირი, მისი ინიციატივაა იმუშაონ საკითხის ირგვლივ, რათა დაზარალებულებს დაუწესდეთ შეღავათები.

დარეჯან ბურჭულაძემ აღნიშნა, რომ შენობა, რომელშიც განთავსებულია 4 ორგანიზაცია, საჭიროებს რეაბილიტაციას, მათ შორის ოთახები, რომელშიც განთავსებულია ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: /კარლო კვიტაიშვილი/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ
საკითხთა, განათლების, კულტურისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის
დასკვნა № 8

20. 11. 2023 წელი
16:00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 20 ნოემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ"ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

დღის წესრიგის პირველ საკითხი :

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2023 წლის 27 ნოემბრის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

ერთმა წევრმა (ელისო ჭიჭინაძე) კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2023 წლის 27 ნოემბრის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მესამე საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2023 წლის 27 ნოემბრის სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა ,განათლების,კულტურისა
და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: /კარლო კვიტაიშვილი/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი

20.11.2023 წელი
16:00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. კარლო კვიტაიშვილი	15 55	
2. ნინო მშვიდობაძე	16:00	
3. დარეჯან ბურჭულაძე	16:00	
4. ლოლიტა ურუშაძე	15 55	
5. კარლო წილოსანი	15 57	
6. ირმა მგელაძე	ის ესწრებოდა	
7. მაკა მშვიდობაძე	15 56	
8. გოჩა ჯანაშია	ის ესწრებოდა	
9. რევაზ კვერენჩხილაძე	15 58	
10. ელისო ჭიჭინაძე	15 55	